

კორონავირუსის პანდემიის შედეგად დაზარალებულთა, საქართველოს მთავრობის მიერ  
ინიცირებული კომპენსაციების მიმღებ პირთა რეგისტრაციის პროცესი

რეგისტრაციის დაწყებამდე ეთანხმებით ქვემოთ მოცემულ პირობას:

„დასაქმების სააგენტოს ელექტრონულ პორტალზე შევსებული განაცხადით, ვადასტურებ, რომ თანახმა ვარ, აქ შევსებულ განაცხადში მითითებული ჩემი პერსონალური მონაცემები დამუშავდეს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად“.

კორონავირუსის პანდემიის შედეგად დაზარალებულთა,  
საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კომპენსაციების მიღების სარეგისტრაციო ფორმა

პირადი N	
სახელი	
გვარი	
მობილური ტელეფონის N	სმს გაგზავნა
პაროლი	შესვლა

რეგისტრაციისათვის შეავსეთ ზემოთ მითითებული ველები:

აღნიშნული ველების შევსების შემდეგ დააჭირეთ ღილაკს „სმს გაგზავნა“, რის შემდეგ სმს-ით მიიღებთ 6 ციფრიან პაროლს. აღნიშნული პაროლი შეიყვანეთ შესაბამის გრაფაში.

პაროლის შეყვანის შემდეგ შეძლებთ მოთხოვნის ფორმაზე გადასვლას.

ხელახალი ავტორიზაცია შესაძლებელია ახალი ერთჯერადი პაროლით, რომლის ვალიდურობის ვადა 10 წთ იქნება.

პირადი N	სახელი	გვარი	ტელეფონი
01001001001	მარი	გელაშვილი	593000000
ანგარიშის ნომერი	გადამონმება		
GE444BG00000000600			
ფაქტობრივი მუნიციპალიტეტი	ფაქტობრივი მისამართი		
	თბილისი, ვარკეთილის მესამე მ/რ		
ფიზიკური პირები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან შემოსავლების სამსახურში			

ძირითად ველებში (პირადი N, სახელი, გვარი და ტელეფონი) ინფორმაცია გადმოდის ავტომატურად. უნდა შეავსოთ ბანკის ანგარიშის ველი.

ამ ველის შევსების შემდეგ დააჭირეთ ღილაკს „გადამოწმება“

თუ ბანკის ანგარიში არასწორია, გამოდის შეტყობინება „გთხოვთ შეიყვანოთ სწორი საბანკო მონაცემი და გადაამოწმეთ ხელახლა“

ბანკის ანგარიშის წარმატებით გადამოწმების შემდეგ გამოდის ერთ-ერთი შეტყობინება:

- თქვენ ხართ დასაქმებული და ვერ მოხვდით კომპენსაციის მიმღებ პირთა სიაში.
- თქვენ მიიღებთ უმუშევრობის კომპენსაციას რეგისტრაციის გარეშე.

I თუ თქვენ ირიცხებით ერთჯერადი კომპენსაციის მიმღებ პირთა სიაში - ავტომატურად შეივსება ველი: „ფიზიკური პირები, რომლებიც რეგისტრირებულები არიან შემოსავლების სამსახურში“

და გამოვა შეტყობინება: „წარმატებით მოხდა თქვენი მონაცემების გადამოწმება“

ამის შემდეგ უნდა შეავსოთ შემდეგი ველები:

1. ფაქტობრივი მუნიციპალიტეტი (ჩამოიშლება მუნიციპალიტეტის დასახელებები და აირჩიეთ ის მუნიციპალიტეტი სადაც ცხოვრობთ)
2. ფაქტობრივი მისამართი

ამის შემდეგ, გთხოვთ, დააჭიროთ ღილაკს „დასრულება“.

II თუ თქვენ არ ირიცხებით ერთჯერადი კომპენსაციის მიმღებ პირთა სიაში, ავტომატურად შეივსება ველი: „ფიზიკური პირები, რომლებიც არ არიან რეგისტრირებულები შემოსავლების სამსახურში“.

ასევე გამოვა შეტყობინება: „გააგრძელეთ რეგისტრაცია“

შემდეგ გამოჩნდება ველი ეკონომიკური საქმიანობის შესახებ. ველი არის ჩამოსაშლელი, სადაც უნდა მოხდეს ერთ-ერთი ეკონომიკური საქმიანობის არჩევა. ველის არჩევის შემდეგ ატვირთეთ ეკონომიკური საქმიანობის დამადასტურებელ ერთ-ერთი დოკუმენტი და დააჭირეთ ღილაკს „დასრულება“

ინფორმაცია საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე მისი შემოსავლის წყაროს შესახებ

გთხოვთ აირჩიოთ ▼

გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებული პირის (გარდა არამენარმე ფიზიკური პირისა) მიერ გაცემული პირველადი საგადასახადო დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება შემოსავლის მიღების ფაქტი (წერილობითი დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია საქონლის მიწოდების/მომსახურების განცეის მონაწილე მხარეთა იდენტიფიცირება, აქვს თარიღი და მოიცავს მიწოდებული საქონლის/განყენული მომსახურების ჩამონათვალსა და ღირებულებას. მაგალითად შესყიდვის აქტი, მიღება ჩაბარების აქტი);  
 საბანკო ამონაწერი;  
 მუნიციპალიტეტის ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ პირზე გაცემული რაიმე საქმიანობის დამადასტურებელი ცნობა ნებართვა/ლიცენზია;  
 საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება პირის ეკონომიკური აქტივობა ან/და შემოსავალი;  
 სხვა

ფაილების მიბმა:

+

მოთხოვნის გაგზავნა

რეგისტრაციის მსურველი პირის მიერ მოთხოვნის გაგზავნა ხორციელდება მხოლოდ ერთხელ.

გისურვებთ წარმატებებს!